



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურ ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 27

ივლისი 2 1900

№ 27

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა ძაიდება: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქველის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлис. Редакция „Квали“.

ჩინეთი

I

ამ უამათ მთელი ქვეყანა ჩინეთზე ლაპარაკობს, ჩინეთმა მთელი ქვეყნის ყურადღება მიიქცია და ურგო არ იქნება მას ჩვენც მივაქციოთ ყურადღება და ორიოდ სიტყვით ის გავიცნოთ.

ჩინეთი - ეს ერთი უძველესი სახელმწიფოთაგანია როგორც კულტურით, ისე წყობილებით. ჩინეთის მატთან იწყება ორი ათასი წლის წინეთ ქრისტეს მოსვლამდის. პირველი მეფე სახელათ ია ცხოვრობდა 2356—2254 წ. წ. ქრისტეს წინ და მას შემდეგ მეფობა არ შეწყვეტილა ამ საარაკო ქვეყანაში. მაშასადამე, სულ უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ, ჩინეთის სახელმწიფო



ჩინეთის ახლანდელი იმპერატორი კუანგ-სიუ.

წყობილება ოთხი ათასი წლისა მაინც უნდა იყოს, ხოლო თვით ჩინელები ხომ ამაზე მეტი, ჩინური ანბანი ჩინელთა სიტყვით გამოგონილ იქმნა 2850 წ. ქრისტეს წინ. შეიძლება ეს რიცხვი გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ექვს გარეშეა რომ 2000 წ. ქრისტეს წინ ჩინური ანბანი არსებობდა. თავდაპირველათ ჩინელების რაოდენობა ძლიერ ცოტა იყო, მაგრამ ის ისეთი მაგარი გვარტომისა გამოდგა, რომ ყველა ხალხი რომელიც კი მას შეესია და დაიპყრო გააჩინელა, თავისი ენა და ზნე-ჩვეულება მიაღებია და ასე თანდათან გაძლიერდა. ასე რომ 741 წ. (ქრისტეს მერე) ჩინელთა რიცხვი აღიოდა 48—49 მილიონამდის, ახლა კი ის 386 მილიონია. ამას უნდა მცემატოს კიდევ არა ჩინელთა რიცხვი, რომელიც ჩინეთის იმპე

რიაში ცხოვრობენ, როგორც მაგ. მონგოლები, მანჯურიელები და სხვ. სულ 16,680,000 სული. მაშასადამე ჩინეთის იმპერია შედგება 402 მილიონ 680 ათას მცხოვრებთაგან. იმპერია განიყოფება ორ ნაწილად: საკუთრათ ჩინეთი და არა-ჩინეთი. პირველი შეიცავს 18 პროვინციას, სივრცით 1,336,841 ოთხკუთხ მილს (მილი ვერსტზე ცოტა მეტია); მეორე შეიცავს ხუთ დიდ პროვინციას (მონგოლია, მონჯურია, ტიბეტი, ჟუნგარია და აღმოსავლეთი თურქესტანი), სივრცით 2,861,560 ოთხკუთხ მილს. ამ უკანასკნელის ორი წილი მაინც უფარგისი მიწებია, უდაბნო ადგილებია და საცხოვრებლათ გამოუსადეგარი. ამიტომ აქ მეჩხრათ არიან დასახლებული. სამაგიეროთ საკუთრათ ჩინეთში ძალიან მჭიდროთ მოსახლობენ და ნიადაგიც ნაყოფიერია. აქ მიწის ისეთი სივიწროეა, რომ არც ერთ ევროპიელ ქვეყანას არ მოსიზმრებია. ხალხი იძულებულია კლდეებზე, წყლებზე და სხვა ასეთ ადგილებზე ააგონ შენობა და იცხოვრონ. ასეთ პირობებში რომ თავი იჩინო, საჭიროა მუდმივი მუშაობა და მიწის რიგიანი დამუშავება. და მართლაც, ჩინეთმა, რომელმაც არც ქიმია იცის და არც აგრონომია, დიდათ გადააჭარბა ევროპას მეურნეობაში. ის ერთი ნაჭერი მიწიდან ცოლ-შვილსაც არჩებს და ოჯახის სხვა მოთხოვნილებასაც ისტუმრებს. მიწას აქ დიდი ფასი დაედვა, ყველა მას ეთაყვანება; თვით ხელმწიფე, ეს ოთხასი მილიონი ხალხის ბრძანებელი, ყოველ წელს ერთხელ გამოვა სასახლიდან და გუთნით ხელში ერთ ნაჭერს მიწას მოხნავს. ერთი სიტყვით, ჩინეთის წყობილების საძირკველი მეურნეობაა. ამ საძირკველზე აშენებულია შესაფერი წოდებრივი ურთიერთობა და პოლიტიკური წყობილება.

წოდებები. ჩინეთის ერი დაყოფილია ოთხ დიდ წოდებათ. პირველ წოდებას შეადგენს თავად-აზნაურობა შთამომავლობითი და პირადი; ამ წოდებას ეკუთვნის ყველა წევრი სამეფო გვარეულობისა და იმათი ჩამომავალნი, რომლებსაც რაიმე ღვაწლის გამო ხელმწიფისაგან შთამომავლობითი აზნაურობა მიუღიათ. ეს შთამომავლობითი თავად-აზნაურობა თავის მხრით განიყოფება ხუთ ნაწილად, თვითოეული ამათგანი უდრის მაგ. ინგლისის ჰერცოგს, მარკიზს, ვიკონტს და ბარონს. მაგრამ ესენიც 19-ათ არის დანაწილებული უფროს-უნტროსობის მიხედვით, მაგ. შეიძლება ჰერცოგი ბევრი იყოს, მაგრამ ერთი მაღალ საფეხურზე იდგეს და მეორე დაბალზე. ამათ ზედ ერთვის კიდევ ოთხი ნაწილი დაბალი თავად-აზნაურობისა, რვათ გაყოფილი. რაც შეეხება პირად აზნაურობას — ეს ხარისხი აქვს ყველა სახელმწიფო მოხელეს, მაშინ

ნაც კი როცა სამსახურს თავს ანებებს, აგრეთვე ყველა მოსწავლეს სახელმწიფო სასწავლებლისას, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში შესვლის სურვილს განაცხადებენ. სამსახურში შესასვლელათ საჭიროა ეგზამენი. აი ეს არის პირველი წოდება. მეორე წოდებას შეადგენენ მეურნენი, ესენი უმრავლესობაა და საპატიონიც არიან. რაკი მიწას დიდი მნიშვნელობა აქვს, ცხადია მის შემამუშავებელთაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ. ესენი უდრიან ჩვენებურ გლეხებს, იმ განსხვავებით რომ იქ გლეხს ყოველთვის დიდი პატივი ჰქონდა და აქვს. მესამე წოდებაა ვაჭარი და აღებ-მიცემის ხალხი. ეს უმცირესობაა, თუმცა ვაჭრობა ძალიან გავრცელებულია ჩინელთა შორის. განსაკუთრებით დიდ ფულს იგებენ ჩაის და აბრეშუმეობის ვაჭრობით და მილიონერებაც ბევრია იქ, ფაბრიკა მრეწველობა კი ჩინელმა რა არის არ იცის, საფაბრიკო ნაწარმოებით არც ვაჭრობს. მეოთხე წოდებას შეადგენენ ხელოსნები და სხვა რაიმე ხელობის მკოდნენი. ამათგან გამორიცხულია მოსამსახურენი, ქუჩის ქალები, უსახლკარონი და არტისტები, რომელნიც ვგრეთ წოდებულ „უპატივცემულოთა“ წოდებას შეადგენენ. კარები სასწავლებლების და სამსახურის ყველასთვის ღია არის, გარდა „უპატივცემულოთა“ და მათი შვილებისა. გლეხი შეიძლება ადვილათ გახდეს სწავლით და სამსახურით პირადი აზნაური და, განსაკუთრებით ღვაწლისათვის, შთამომავლობითიც. აშკარაა, ჩინეთის წოდებები ინდოეთის კატებს არ გვანან, სადაც ერთისაგან მეორეში გადასვლა ყოველად შეუძლებელია.

პოლიტიკური წყობილება. როგორც ხედავთ, ერი დაყოფილია მრავალ უფროს-უნტროს ნაწილებათ, რომლებიც თავისი უფლება-უპირატესობით საზოგადო ცხოვრების სხვა-და-სხვა საფეხურზე დგანან. ამ საფეხურის უმწერვალესი ადგილი უჭირავს მეფის სასახლეს ანუ თვით მეფეს. ჩინეთის ხელმწიფე სრული თვით მპყრობელია და მისი უფლებები არავისაგან შეზღუდული არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ რასაც მოისურვებს იმას გააკეთებს. პირ-იქით, ამ თვით-მპყრობელ ხელმწიფეს იმდენი თავისუფლებაც კი არ აქვს. რამდენიც თვითოეულ ჩინელს აქვს. ის პირველ ყოვლისა ემორჩილება იმ უსაზღვრო ცერემონიებს, რომელნიც ჩინეთში ათასი წლების წინ შემუშავებულა. ის აღვამის, დაჯდომის, წასვლა-მოსვლის, ძილის, ფხიზლობის — ყოველ ჟამს ცერემონიის მონაა. რაც შეეხება ქვეყნის მართვის საქმეს ის უფრო სასახლის პარტიების იარაღია, ვინემ თვით-მომქმედი. არსად იმდენი პარტიობა არ

არის ხელმწიფის ნათესავთა შორის, რამდენიც ჩინეთის სასახლეში. როგორც კი გაიმარჯვებს მოწინააღმდეგე პარტია, მაშინვე ხელმწიფე „ავათ ხდება“ და მეორე-მესამე დღეს საქვეყნოთ ცხადდება: „გადაიცვალაო“ და დაცლილ ტახტზე გამარჯვებულ პარტიას აყავს თავის კანდიდატი. ახლა ამის მოწინააღმდეგენი იბრძვიან და მათ გამარჯვებასთან ერთად ეს ხელმწიფეც „გადაიცვლება“ და ტახტზე სხვა ადის. ამიტომაც არის, რომ ჩინეთის ტახტზე ხანგრძლივი სიცოცხლე იშვიათია. გარდა ამ პარტიებისა, რომელთა არსებობა არავინ არ უნდა იცოდეს, არის ოფიციალური დაწესებულებები, რომელნიც ხელმწიფის თვალს და ყურს შეადგენენ. ასეთები არიან: მინისტრთა კაბინეტი, მგზავსი ევროპიელ კაბინეტთა; აქ არის მინისტრი სასახლის, სამართლის, მხედრობის, სარწმუნოების, ცერემონიების, ფინანსების და სხ. ყველა კანონი, ბრძანება თუ სხვა რამე გამოდის მინისტრების წარდგენით და ხელმწიფის ნება დართვით. სავარაუდო საქმეთა სამინისტროს ეწოდება ცუნგ-ლი-იაჟენ. თვითოეული სამინისტრო შედგება ორი თავმჯდომარის, 4 თავმჯდომარის ამხანაგის და 34 წევრისაგან. სამინისტროს სხდომას ესწრება აგრეთვე ერთი კაცი, წარმომადგენელი ხელმწიფისა; ის მხოლოდ უსმენს, ერთ სიტყვასაც არ იტყვის და თუ რაიმე უკანონობა შეამჩნია, მაგ. ძველი ცერემონიების და ზნე-ჩვეულებების დარღვევა ან სხვა რამე, პირდაპირ ხელმწიფეს მოახსენებს. ეს პირია ეგრეთ-წოდებული ცენზორი. ცენზორი რიცხვით 40 50 და დიდი მოვალეობაც აწევთ. იმათი ღანიშნულებაა თვალყური ადევნონ ყველა მაღალ დაწესებულებების მოქმედებას და ყოველივე ნაკლულეგანება და გზისაგან გადახვევა აცნობონ პირდაპირ ხელმწიფეს. ეს კიდევ ცოტაა. ცენზორები თვალ ყურს ადევნებენ თვით ხელმწიფეს და მის გვარეულობას და როგორც კი რაიმე უკანონობას ჩაიღწენ პირდაპირ ხელმწიფესვე მოახსენებენ. მაგ. ამ ორი წლის წინეთ ერთმა ცენზორმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა ხელმწიფეს ხელმწიფისვე მოქმედების (რეფორმის) წინააღმდეგ. ცენზორები უპროტესტოთ არ ტოვებენ არც სასახლის პარტიათა ინტრიგებს. მაგ. 1874 წ. როცა იმპერატორი „მოკვდა“ და მის ალბას მისი შვილი კი არა მისი ძმის შვილი გაამეფეს; რაიცა ერთიანათ ეწინააღმდეგება ჩინეთის ჩვეულებას, მაშინ ერთმა ცენზორმა პროტესტის ნიშნათ ამ ახალი ხელმწიფის წინაშე ტაძარში მკვლელობა მოახდინა!—გარდა ამ დაწესებულებები სა, საყურადღებოა აგრეთვე საიმპერატორო ბიურო სასახლის და სახელმწიფოს ისტორიის მწერალთა, საიმპერატორო აკადემია მეცნიერებათა და სხ. ჩი-

ნეთში დიდ ყურადღებას აქცევენ ისტორიას და მეცნიერებას, რასაკვირველია, მხოლოდ თავის ქვეყნის. სხვა ქვეყნებისა არც ისტორია რწამთ და არც მეცნიერება. პროვინციის მთავრობის სათავეში დგას გუბერნატორი, ალაგ-ალაგ ვიცე-კოროლი; ამას ემორჩილება პროვინციის ყველა მოხელე, ხოლო გუბერნატორი კი მხოლოდ ხელმწიფეს. სოფლებს და ქალაქებს მინიჭებული აქვს თვითმართველობა. არჩევანი სოფლის და ქალაქის მოხელეთა სრულიად შეუზღუდავია. ჩინეთის უმაღლეს მოხელეთ ევროპაში უწოდებენ მანდარინს, რაიცა პორტუგალიურათ ნიშნავს მინისტრს, მრჩეველს.

სხვა-და-სხვა ამბები

30 ივნისს მთავარ-მართებელი თ. გოლიცინი რუსეთიდან უკვე ჩამოვიდა თფილისში.

30 ივნისს შესრულდა 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც ქუთაისს თვით-მმართველობა მიენიჭა.

ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში წარუდგენია პროექტი, რომლის ძალით ხორბლეულობა, ფქვილი და სხ. წონით უნდა იყიდებოდეს და არა საწყაოთი, რადგანაც საწყაოთი მწარმოებელთ ხშირათ ატყუებენო.

შავი ქვის მწარმოებელთა მესამე მორიგი კრება მოხდება 26 ივლისს,

უმაღლესათ დამტკიცებული სანიტარული კომისია აცხადებს საქვეყნოთ, რომ ტრაპიზონი შავი ქირის მხრივ საშიშიაო.

ამ ბოლო დროს ერთობ ძალიან გახშირდა იმერეთიდან ახალ-გაზდა ქალების ჩამოყვანა და ცული ყოფა-ქცევის სახლში გაყიდვა. ამას ისე მოხერხებულათ შვრებიან რომ პოლიცია ვერაფერს გებულობს. ამ სამი დღის წინეთ ერთ ვაჟბატონს ჩამოუყვანია 13 წლის ქალი ქუთაისის მაზრის, სოფ. ბანოჯიდან, ჩამომტარა ნომერში და გაუმართავს ვაჭრობა ვილაც დედა-კაცთან. ბავში მიმხედარა, რაღაცას კარგს არ მიშვრება ბიძა ჩემიო (ბიძა ყოფილა ის მისი) და დაუწყვია ტირილი. იქ ნომერში ერთი ბიჭი გამომდგარა ამათი ნაცნობი და იმის შემწეობით პოლიცია ჩარეულა საქმეში და ორივე დაუტყვევებია. ამ ჟამათ ის ვაჟბატონი ქალითურთ პოლიციის მესამე განყოფი-

ფილებამია დაქვრილი. პოლიციას ქალღილი გაუგზავნია ქალის მშობლებთან, მართლა ნება მიეცა შენ ქალიშვილს ისეთ ალაგას შესასვლელათო. საკვირველია, რომ ქალს პასპორტი ჰქონებია და „ბიძაც“ ამის ძალით იძახის, ვის რა საქმე აქვს, პასპორტი გვაქვს და გავფიშვითო. პოლიციმეისტერს განკარგულება მოუხდენია, სასტიკათ გამოიძიეთ ეს საქმეო. იმედია ამ ცოცხალი ადამიანით მოვაჭრეს სამაგიერო მიეგება.

რაქის მაზრაში ამ ბოლო დროს რამდენსამე ალაგს აღმოჩენილა სხვა-და-სხვა მადანი: კულაროს ხეობაში, ჩასავალში — მარგანეცი და ანდიმატი. აღმოუჩენიათ სოფ. წედისში — რკინა და სოფ. სორში — ქვა ნახშირი.

ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნაკი ამ სათაურით: „Краткий очерки Кустарных промыслов на Кавказе“. თხზ. ა. ს. ფირალოვისა, წიგნში მრავალი ცნობებია მიწათ მრეწველობის შესახებ, ჩართული აქვს ორი ქარტოგრაფია, საიდანაც ტყობულობთ სად რა საშინაო მრეწველობას მისდევენ. სამწუხაროთ, მეაბრეშუმეობაზე არაფერი არ არის ნათქვამი, რასაც თვითონ ავტორიც აღნიშნავს.



„კვალის“ კორესპონდენციები

ს. კალაგონი. (გურია). საზოგადოთ ცნობილია, რომ მეაბრეშუმეობამ წინმსვლელობის გრძელი ნაბიჯი დაგვანახვა. თითქმის ზაწია გოგო — ბიჭებიც კი ნათლათ მისვდენ, რომ მეაბრეშუმეობა შეადგენს ზირველ დარკს მრეწველობისას. ამიტომ უველა გულმოდგინეთ შეუდგათუთის ხის რიგანათ მოვლა-მოშენებას, ცალკე საყაჭე სახლების აკებას და სხვა საჭირო მასალების შექენას. ასე გაშინჯეთ „ტერმომეტრები“ ბევრმა შეიძინა, რათა აბრეშუმის ტიებისათვის ზომიერი სითბო დაიჭირონ და სიცივეს აშორონ, რასაც წინეთ იშვითათ ნახავდით. აბრეშუმეობის წინმსვლელობის უახლოვეს მიზეზათ თამამათ შემიძლია ჩავთვალო გასულ წლებში დაარსებული კურსები ქ. ქუთაისში, დ. მარტვილში (1897—1898 წლებში), სადაც მიწვეული იყვენ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების უველა მასწავლებლებიც და გულმოდგინეთ ისმენდენ ლექციებს დაუღალავი მშრომელი ბ-ნ იოსებ გ. ქუთათელასძისაგან მეაბრეშუმეობაზე. ცოტათ თუ ბევრათ ამ მასწავლებლებმა მოჭფინეს სწავლა მეაბრეშუმეობისა და ამ უკანასკნელმაც შესამჩნევათ წინ წაიწია.

მეაბრეშუმეობა უმეტეს ნაწილათ ქალების ხელშია, განსაკუთრებით ს. კალაგონში და მის ახლო მახლო სოფლებში. ეს ქალები სწორეთ ჩინებული მეაბრეშუმეობის არიან. წელს რომ ცუდი მოსავალი იყო აბრეშუმისა.

აქი ისეთ ქალს ვერ შეხვდებით, რამელსაც 11/22 ოფთხამდე ზარკი არ მოეწიოს. საშრობი ფარდულიც ამ სოფელშივე უღვას ბ-ნ ექვთიმე სხვიტარიძეს და ეიდულაბს ნელ ზარკს ჩილინგარიანცის და ვარაბეგოვის ფულეობით. ეს უველა კარგი და კეთილი, მაგრამ სამწუხარო და სავალალო ისაა რომ აქ ზარკი რიგან ფასში ვერ სადდება: რამდენი ათი ფუთი ზარკი გაიედა აქ 13—14 მანეთში, ზირველი ხარისხის — ბადდდის ჯიშისა მანინ, როდესაც ამ უკანასკნელი ჯიშის ზარკი ფასობს ფუთი 15—20 მანეთამდე. ამან თქვენი ტირი წაიდოს, მაგრამ კიდევ სამწუხარო ისაა რომ საცრათ აზარვეწონაში: ფუთი ზარკი მიაქეთ 37—38 გირვანქათ. ახლა არა შეითხავთ რათ ეთხრე ბა ხალხს თვადები? აუარბეული ჩარჩ-ბ-ცაცები ეანთრებით და სხვა უსწორ-მასწორო სწონებით დადინ სოფლათ, ფარდულში გადაწვეტილ მაზანდას უმატებენ 10—20 კ. და ეიდულაბენ, თან წონაში ატეულიებენ, მერე მიაქეთ მეფარდული სხვიტარიძესთან, ფუთზე სავამში-სიო ფულსაც ებულობენ 50 კანეკამდე და მეტი რაც გამოვა ზარკი, ხომ მათია. კარგათ თვალ-ურის დევენებას შემდეგ დავრწმუნდი, რომ წელს სოფელს ასე მოტეუებით ჩარჩებისაგან ერთობ ბევრი დაჭკვლებია. საჭიროა დიდ უურადლებას მიაქცევდენ ამ ჩარჩებს და დაზარულ ხალხს გამოისხნიდენ მათი კლანჭებიდან.

ერთათ ერთი წამალი ჩარჩების თავიდან აშორებისა და ზარკის რიგან ფასში გაუიდვისა ის არის, რომ თვითონ სოფელი მიეჩვეოდეს ზარკის გაშრობას და ან შეერთებული ძალით ფარდულისა და სახარშავის გაკეთებას. ეს უკანასკნელი საქმე მოთავსეს თხოულობს, მაგრამ ვინაა ქრისტიანია...

ორიოდე სიტყვა აქაურ სკოლის შესახებაც: ათიოდე წელს გაუფლია მას შემდეგ, რაც სოფელ კალაგონში დაარსებულა ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. სოფლის მკვიდრთა სიღარიბის გამო, ეს სკოლა სწავლის დროს უმეტეს ნაწილათ კარბე-დაკეტილი უფთილა, რისთვისაც ვერ შეხვდებით აქ ამ სკოლაში კურს დამთავრებულს. ერთი არაფინ გამოჩენია აქაურ ბავშებს შემბრადებელი და უბედურებიდან გამომხსნელი.

წელს მე მარგუნა ბუღმა ამ დარბ სკოლაში ცოტა ხანს მიმშილ-წუგრულის თქენა. და უნდა ვთქვათ, რომ წელს ამ სკოლას ბუდი უდიმის. დარბი ხალხი, რომლითაც ს. კალაგონი სავსეა, ეოველ დინის-ძიებას ხმარობს, რომ შვილი წერა-კითხვის მცოდნე მანინ გამოუვიდეს... მცირედენ შემოწირულებასაც ვხედავთ. შემომწირველთა სიას ჯერ არ ვაცხადებ, მხოლოდ უდრემეს მადლობას ვუცხადებთ, როგორც მე ისე აქაური ინტელიგენცია ბ-ნ დიმიტრი იესესძე ხუნდაძეს, რომელმაც კეთილ იხება და დაუკვეთა რწმუნებულ ჩემდამო კალაგონის სკოლას ამ მდგომარე წელს გასეთი „კვალი“ და დავგზირდა თითქმის უველა ქართულ წიგნებსაც, რომლებიც ჩვენ არა გვაქვს (ჩვენ გვაქვს მხოლოდ 168 ცალი საუკეთე-

სო ქართული წიგნები უდიდო დაკანშმული, შემოწირული
ბ. სიღვან ხუნდაძისაგან). განა ცოტა შვილები ჭეჯს
ს. კალაგონს სხვა-და-სხვა ქალაქებში? ბევრი, სულ ბევ-
რი და მასთან მდიდრებიც, მაგრამ რა გამოვიდა, მამას
რომ ბევრი შვილები ჭეჯდეს და მას არც ერთი არ არ-
გოდეს. მოვაგონებთ ხსენებულ სოფლის შვილებს,
რომ ამ სოფელს დღეს მეტი შემწეობა ეჭირვება, და
ამას ნუ დაივიწყებენ.

კალაგონის სამრევლო სკოლის მასწავლებელი, სიმონ
რამიშვილი

ქ. თელავი. ახრლმა და მასმა თითქმის წვიმით
გაიარა, და თითქმის თიბათვის ორ კვირამდისაც წვი-
მები არ შეწყვეტილა. ხეებმა, რაც ისე ბლამა-
თას კახეთში—კინაღამ წაიღო მთელი არე-მარე. თელავის
ქუჩები ისე გააფუჭა ნიაღვრებმა, რომ ეტლებს ძალიან
უჭირდებოდა სიარული და თუ არ მალე შეაკეთეს—ძალიან
ცუდი იქნება.—მეორე მხრით ხშირმა წვიმებმა მოსავლის
(ჭირნახულის) სიუხვეს ხელი შეუწევს (გენახებისათვის კი
მავნებელია, შეწამვლას უშლის, რის გამოც ვაზის ავთ-
მოფობა ხშირდება), მაგრამ კახეთში სასხვავ-სათესი მი-
წები ბევრი არ არის. აქაური მოსავალი ნახევარზედაც
ვერ აკმაყოფილებს ხადს. ამიტომ უმეტესი ნაწილი
ფქვილისა—თუ ხორბლისა გარედას შემოდის. ახლა, ამ
ბოლო დროს მაინც, ისეთ გლეხს ვერ-ნახავთ, რომელიც
თელავში არ ეიდუფობდეს ფქვილს!..

თელავიდან სიღნაღამდე ერთმანეთზე გადა-
ბმული სოფლები თავის ვინახებით, საუცხოვროთ
გადაჭიმულნი ალაზნის ველები სიამოვნების ნექ-
ტარს გიძრავთ, მაგრამ მეორე მხრით, რომ აკვირდებით
კახელი გლეხის სიბეჭავი-სიდატაკეს—გული მწუხარებით
გვესებათ და უნებურათ ეკითხებით თქვენ თავს: „ნუ თუ
ასეთი მდიდარი ბუნების მიფლობელი დარბი უნდა იყოლოს?“
დაიად, უცოდინარობა, უხსუნველობა და დაუდევრელობა
აგლებს მას უკიდურობაში!..

დვინო, ეს კახეთის უმთავრესი ცხოვრების წყარო—
ესეც მოვანშე-მოვალეების ხელშია ჩავარდნილი. შეიდეგ-
ლები ოქროს ტახტზე განისვენებენ, გამოედეგლ-მწარმოე-
ბენი კი ნოტიო მიწაზე გდებით სხეულდებიან და უდ-
როვოთ იხრებიან!.. მეორე დარგი მრეწველობისა აქ
აბრეშუმის ჭიის მოყვანაა. ამ ბოლო დროს იმდენათ
განშირდა მისი მოყვანა, რომ საჭიროება მოითხოვდა
აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა გაეშენათ. და აი კიდე-
ვაც ერთმა ზაქათაღელმა გამოცდილმა ზოკმა (ოჭანეს
ანიუმა) ააგო ვეებურთელა შენობა, შიგ მრავალი ჭიის
გასაწვევტი და ამოსახვევი მანქანებით, სდაც 40-მდე ქალი
მუშაობს თითქმის მუქათ (15—20 კ.). როგორც
გხედავთ, აბრეშუმის წარმოებაც როგორც დვინო, სხვის
ხელში ვარდება!..

ტრ. ინასარიძე

ქართული საეკლესიო ვალომა 1)

ზიდ ხანს არ გაუვლია მას აქეთ, რაც ჩვენ საზო-
გადოებაში ადიდრა ღაზარაკი ქართულ საერო-საეკლესიო
გალობის შესახებ და ჩვენი ეოფა-ცხოვრების მეოვალ-
ურეთ გაზეთებიდან უკვე მოეხსენებათ, თუ რა მდგო-
მარეობაშია დღეს ეს საგანი. წინეთაც თუმცა ამ ფრიად
საერო და საეურადღებო საგანზე ბევრჯელ ეოფილა
ჩვენ ქართულ ლიტერატურაში ღაზარაკი არა ნაკლებ
საბუთიანი წერილებით, მაგრამ მათ თავისებური ელფე-
რი და ხსისათი ეტუობოდათ. დღეს ამ საგნის შესახებ სი-
ტყვა საქმეთ გადაჭრულა და ერსა და ბერს, დიდსა და
ზატარას ხელი-ხელ მიუციათ, რათა დათესილი მოიმკოს
და დაუთესავი დაითესოს.

ქართულმა საეკლესიო გალობამ იმდენათ წაიწია
წინ, რომ, არამც თუ ხორეები დაარსდა. არამედ თვით
ნოტიის ლიტერატურაც კი მოიბოვება მსურველთათვის.
საკმარისია დავასახელოთ იმისთანა ზირნი, რომელთაც
შრომა გასწიეს ამ ასარეზზე, ესენი არიან ბბ. იზბო-
ლიტო-ივანოვი, კლენოვსკი, (კლენოვსკის ოთხი ხმით
შენამებული ქართული საეკლესიო გალობა მალე გამოვა
ქ. მოსკოვში) ქარიძე, ბენაშვილი და სხვა. აი ეს ამო-
დენა ნაწარმოები მცოდნე ზირთაგან საკმარის მასალას
აძლევს საეკლესიო მომღერალთა მეთაურთ.

საუბედუროთ, არა სისიამოვნო მოვლენას ჭეჯავს
დღეს ამ საგნის შესახებ ვეელა ის, ვინც კი თვალ-ურს
აღებებს ჩვენი გალობის ბედ იბბლს. ეს კახლავთ ქარ-
თულ გუნდის მეთაურთა დაზარალება და დაუდევრო-
ბა. მაშ რითი აიხსნება ქართულ ხორეების გამოკთა შე-
ხედულობა, რომ რასაც კი კარბელაშვილის სახელი არ
დარქმევი, ან კარბელაშვილებს არ დაუსვამთ ბუჭელი,
იმას იქით ქართველ ერთაგან არაფერი თქმულაო. ამიტო-
მაც ვხედავთ რომ დღეს ეგრეთ წოდებულმა კარბელაანთ
კილომ შეაკვება თითქმის მთელი არე-მარე და სითაც კი
გაიხედავთ, ნებით თუ უნებლიეთ, ეს კილო გაისმის 2).
ჩვენმა შეგნებულმა და დაწინაურებულმა სამდგდლო ზირე-
ბმაც ამას ხელი შეუწევს და სასწავლებლებშიაც კი შე-
მოიდეს ეს გალობა სავადლებულთ. იქნება ოდესმე
აკმაყოფილებდა ჩვენ წინაზართა სმენას ამისთანა გალობა,
მაგრამ ახლა სხვა კაცია ქართველი სმენით და სხვა

1) ეს წერილი „ივერიამ“ არ დამიბეჭდა.

ავტ.

2) მოკარ ყური, ვითომც ერთმა აწ განსვენებულმა მონა-
სტრის წინამძღვარმა აღუკრძალა მოძმეთ თავისებური ვალობა,
მის მიერ რწმუნებულ მონასტერში და ჰსურდა უთუოთ და
უთუოთ კარბელაანთ კილო ეგალობნათ. აი სწორეთ ეს
არის კეთილი სამსახური ქართული მუსიკისა!!! ამისთანა
ხელოვნური გავრცელება ერთისა, ხომ სპობს მეორეს, რაც
დროსა და ვამს შეუქმნია.

დროც დადგა: ხალხი განვითარდა ეოკული მხრით, განებრივად, ზნეობრივად და სხ. რასაც სმენის განვითარება მოსდევს; რასაც აღტაცებაში მოჰყავდა ჩვენი წინაპარი, ახლა იქნებ ეს საოცრათაც ეჩვენოს ჩვენ ათობას. რასაკვირველია, წინაპართა მიმდევარს კეთილი აზრი ახელმძღვანელებდა და იქნება განვითარებას: ამ შემთხვევაში სხვა თვალთაც შეხედონ, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად, სახელდობრ, ხალხი განვითარდა და, მაშასადამე, განვითარდა მისი სმენაც. აი აქედან უნდა გამოვიდეს ევგელა ის, ვისაც ჰსურს საქმეს სამსახური გაუწიოს და მის გაზრდას დაეხმაროს. ხორციელი და ამათი ღვთობარნი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ ხალხის გემოვნების და სმენის განვითარებას.

სიმატლეს მოკლებულია არ არის ის, რომ ოდესმე ქართული გალობა დროთა ვითარებისა გამო თითქმის მოსზობილას. ამის შესახებ *Археограф. писмо-ში* (т II) აი რა ცნობას ვხვდებით ანტონ ქათალიკოზის ნაწერებში: ამერეთში ძველი ქართული გალობა აღმოაჩნდა და ამიტომ იმერეთიდან გამოვიწერეთ მგალობელნი ძმანი ანთაძეები და სხ. და მათ ჯამაგირი სახელმწიფო შემოსავლიდან ეძლეოდათ თვით მამის ჩემის ერეკლე მეფის დროსაცო.

კარბელაშვილებს კი ჰგონიათ რომ, მათ მიერ მონათლული კარბელაური კილო თავიდან ბოლომდე მხოლოდ მათ გვარს დაუტავს და უკალობნია!! მაშ ამის შემდეგ ჩვენ არ ვუწვით რითი ახსნება ეს მოვლენა, რომ აგერ რამდენიმე წელიწადია ბატ. ქარიძისგან დაიწერა იმიერი წირვა ღვთის კილოები და ჯერ კვლევისაში მოსიარულეთ არაფერი არ გაგვიგონია ამ კრებულისა. აქ რადაც არა სასიამოვნო მოვლენა და აზრია გავრცელებული ჩვენი მუსიკის წარმომადგენელთა შორის. მე თითონ გავიგონე: ჩვენმა შემუსიკებებმა, იგალობეს რამდენიმე კილო ქარიძის მიერ დაწერილ კრებულისა და „არ გამოდის“. ეს „არ გამოდის“ ძალიან ადვილად სახსნელია ჩვენი აზრით. გასაოცარი არ უნდა იყოს რომ ქართული უცბათ ვერ შევხდომი იმიერ კილოებს და მის სმენას. რომ ბ. ქარიძისგან დახმდვილებით არიან დაწერილნი ევგელა ეს საგალობლები, ამის თავადები იმის ცოდნა და გამოცდილება არის; ამავე აზრისანი არიან ბ. ბარბინი—ღირიფორი ონკრისა, კლენოვსკი და კორეშჩენკო, — „*Ъ МУЗЫКАЛЬНОЙ ТОЧКИ ЗРѢНІЯ МОТИВЫ ЭТИ ВОСПРОИЗВЕДЕНЫ ВѢРНО*“ — ამბობენ ისინი. ამასთანავე ვებრძვით ვიქონიოთ ჩვენი აზრიც ამ საგნის შესახებ, რომ კლენოვსკი, კორეშჩენკო და ბარბინის შეხედულება გალობაზე უფრო უტყუარია ვიდრე რატისის და კიდევ სხვა ვიღაცეებისა ეჭვს გარეშე, რომ ქარიძის საგალობლები მუსიკის გრამატიკული წესებით არის განვითარებული და დახმდვილებით არიან დაწერილნი, ვიდრე კარბელაოვისა. ესეც ეჭვს გარეშე, რომ ევირილი „მე“-ს შესახებ არ ცოდნია ბ. ქარიძეს თორემ ამისთანა ბედი არ ეწვეოდა მის ნაწარმოებს...

ესევე უნდა ვუსაყვედუროთ ბ. მონაღირაშვილს რომლის მოღვაწეობაც განსაკუთრებულ ზირობებში დგას და მაშასადამე მას უფრო ადვილად შეეძლო თავისი მოვალეობის ასრულება და ხალხის სიამოვნება. ჩვენ ადარ გამოვუდგებით თავად-აზნაურთა მოწაფეთა გუნდის მოქმედებას, ამაზე ზრუნვა თვით-მმართველობის ვალა; სხვა და სხვა კილოების შესწავლა სავალდებულოთაც-იო უნდა გაუხადოს მოწაფეთა გუნდის მმართველს.

ვინ არ უწიის, რომ ზნეობრივი ზრდა ხალხისათუ კერძო ზირისა ერთ და იმავე კალაპოტით აღწეებს და ერთფერებს სულიერ ცხოვრებას, ერთი კეკმით ცხოვრება აგვარებს ხალხს და უხმობს საუკეთესო სულიერ მისწრაფებათ...

ი. კარგარეთელი.

წერილი ახალ-სენაკიდან

ღამ ახალ-სენაკი ვაჭრობის ცენტრია მთელ სამეგრელოში. სამეგრელოს თითქმის ეოკული ნაწარმოები, ეოკელ-გვარ მეუნეობის დარგი და სავაჭრო და სამრეწველო ნივთები, რაც კი სამეგრელოდან გააქვთ, დაბა ახალ-სენაკის რკინის გზის სადგურიდან გადის. ამ გარემოებამ იმდენათ ხელი შეუწყო თვით ახალ-სენაკის ადგილობრივობას, რომ ახალ-სენაკი სწრაფათ ჩადება ქადაქათ, ხალხი მას ბოლომდე აწელება სოფლებიდან, იეიდება მიწა-ადგილი, შენდება ღუქან-სახლები და ეს არის დღეს თუ ხვალ იგი ჯერ ისე დაბა ადსარბულია, მაზრის ქადაქათ უნდა იქნეს დამტკიცებული. ამ გარემოებამ ისე ცაიტაცა ახალ-სენაკელი, რომ ევგელა თავისთავის ზრუნავს და თავის ჯიბის გასქელებას ცდილობს, ხოლო საზოგადო, სასარგებლო და არც სასახლო საქმე არავის არ ახსდებს. ამისთავის არსად ზრუნვა, არსად ნდობა და არსად სურვილი, ცდა და თაობა.

დავიწყოთ გარეგნობიდან: ახალ-სენაკის რკინის გზის სადგურზე, რომ ჩამოხვალთ ზირველათ ქვეთვირის ორ-სართულიანი სახლები გეცემათ თვალებში. სახლები სადგურიდან 30 საყენის სიანლოვესა, მარა თუ წვიმიანი ანუ ნაწვიმარი დღეა ეს ახალ-სენაკში, როგორც ევგელას სამეგრელოში თითქმის ეოკელ მერე, შესამედლიური მოვლენას, მაშინ მათთან მისვლას 15—20 წამს მაინც მოუნდებათ; ხოლო თუ კალოები გაცვიათ და თანაც ტანისამოსის სისუფთავს ეურადლებას აქცევთ, მაშინ ერთი საათიც დაგჭირდებათ, მარა ერთი კალომიც ტადასში ჩავრჩებათ და მუსლამდისაც ღაფით ამოისფრებით. მერე თუ იქვე „ფრანცისის“ ანუ „ბაიუმის“ ნომრებში არ შებრძნდით, თქვენი მტერი, რაც თქვენ მოგივიდეთ. ზემოთ, ძველი სენაკის გზაზე, და ქვემოთ, სადაც სიმიდის „სკლადებია“, ისეთი გაუსვლელი ღაფები დაგვიხვდებათ, თქვენ კი არა, მაგარი ღაფმა ცხეხი ძლივს-ძლივობით შეძლებს მათში გატარებას. ამისთანა

დრის დამით უფლად შეუძლებელია სიარული, რადგანაც ფანარი არსად არის.

ნუ თუ ქუჩების მკვირწველს ან ქვიშის მკურს ძეგლია იქ, სადაც ასობით ურემია და ამდენივე დროები? თუ დაბა თვითონ არ იკისრებს, განა შეურმეს და შედროვებს ვერ დაავადებენ, რომ თითო-თითო ურემია და დროები ქვიშა ანუ კენჭი მოაყარონ ქუჩებზე? განა ეს საკმარისი არ იქნება? დასაც საკმარისი იქნება, მაგრამ ამასაც თავი უნდა, რომელიც დაბას ჯერ-ჯერობით არ უხმდებს.

დაბაში უფლად წლიურათ რამდენიმე ღუქანი და სხლი ცეცხლის მსხვერპლი ხდება, მარა ცეცხლის მქრობელ რაზმებს ვინ იტყვის, ცეცხლის საქრამ მასობების შექმნაზე ურესაც არავინ იბურტყავს. ზოგიერთი „ბატონები“ იმ დროებებს იძლევიან, რომ ხის სახლებს ეკიდება ცეცხლი და არა ქვისსა და თუ ვეღვა ქვისსაც ავაშენებთ, არა გვიშავს რა. და ეს მართალი ჭეშონიათ!

მას, თუ დაბაზე არ ზრუნავენ, რას აკეთებენ სენაკელები? როგორ თუ რას? ვეღვას თავის საქმე აქვს: „უეზღნიუზრავლებია“ სოფლის ქურდების და რანდ-ყანალების დევნას უნდება, მასწავლებლები სწავლებას, ვაჭრები ვაჭრობას, თავად-აზნაურები კიდევ თავიანთ საქმეს (აქ თავად-აზნაურები ბლამით არიან), ხელოსნები ხელოსნობას, მუშები და სხვანი და სხვანი... ვეღვას თავიანთ კერძო საქმეს მისდევს. ეს ასეც უნდა იყოს, მარა საზოგადო საქმე რომ არავის აინუხში არ მისდის? აქ არსებული 4 კლასიანი სასულიერო და ორ კლასიანი „ნორმალური“ სასწავლებელი მთავრობის მიერ არის დაარსებული და მათ შენახვასაც, როგორც ვეღვამ იცის, მთავრობა კისრულაბს. ერთათ ერთი საქმე, რომელიც სენაკელების მკვიდრთა ნაყოფია, ეს ერთ კლასიანი საქალები სასწავლებელია, მარა ისიც არა სასურველ მდგომარეობაშია. მისთვის ერთი საკუთარი რიგიანი შენობა ვერ შეუძენიათ, ერთი შენობიდან მეორეში ათრევენ, მეორიდან მესამეში და რომ ძვირათ არ დაჯდეს სახლის ქირა, ხშირათ ზატარ-ზატარა ოდებში ათავსებენ. სხვაგან რომ უფილიყო, ამდენ ხანს 2 კლასიანთ გადააკობდენ, მარა სენაკელები ამისთანა საქმისაგან დებრთმა დაიფარეს. მათ იგივე ვერ შეუნახვთ, ახლაც ისიც ბუუტყავს და განსაცდელშია. ეგებ ახალ-სენაკელებს ინტელიგენცია არა ჰყავთ და ეს იმის ბრალია? არა ბატონებო, იმდენი ინტელიგენცია, იმდენი მადლი და სიშუალო ნასწავლი თაობა, რამდენიც სენაკშია, განსაკუთრებით მისი მკვიდრთაგანი, მგონი არსად სხვა საქართველოს დაბებში არ მოიძებნება. მხოლოდ, ვიმეორებ, მათ საზოგადო საქმის უნარი, სიუვარული და ინტერესი არა აქვთ.

მიუხედავად ვაჭრობა-აღებ-მიცემობის გაჩაღებისა, აქაური მკვიდრი ხალხი გონების მხრივ ისევე ბნელით არის მოცული. ან და რით უნდა განვითარდეს ხალხის გონება, როდესაც ერთი ბიბლიოთეკა და სამკითხველო აქ არ არსებობს? ამის გამე სიღრუეს, ჭოკებს და ცრუ-

მონწიურებობას აქ ისევე დიდი გასავალი და ბაზარი, ინტელიგენცია უგაზეთით ხომ ვერ ივარჯის და კიდევაც მისდის თითო-ორჯელს გაზეთი, მარა მარტო თვითონ სარკებლობს და სხვა არავინ. ნუ თუ სენაკის „ბატონ-ზატონები“ ვერ შეძლებენ, რომ წლიურათ 10 — 12 თუმანი შეკრიბონ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლათ? ესეც ძალიან ადვილი საქმეა, მარა სად არის თავი?! ახალ-სენაკში ბევრი იმდენათ მდიდრები არიან, განსაკუთრებით თავად-აზნაურები და ვაჭრები, რომ არამც თუ ამისთანა წვრილმანების გამოცება გაუჭირდებათ, არამედ თითოეულათ შეუძლიათ 7 წლის წინეთ საძირკველ ჩყრილი და ჯერ ისევე აუშენებელი საქალაქო ეკლესია ააშენონ, მარა სად არის სურვილი? ვიმეორებ, არც ერთ საზოგადო საქმეში სენაკელებს მონაწილეობა არ მიუღიათ და ერთი სასურველი ქველ-მოქმედება არ ჩაუდენიათ. აბა ერთი გვიჩვენონ სენაკელებმა, თუ როდის და რომელ მისწავლე ახალ-გაზდობისთვის შეუგროვებიათ ფული და დახმარება აღმოუჩინიათ, როდის გაუგზავნიათ თავისი წარმომადგენელი რომელიმე ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ მოღვაწის საიუბილეო ანუ დამარხვის დღეზე დასასწრებლათ და საზოგადოთ, რომელ საზოგადო საქმეში მიუღიათ მონაწილეობა? არა, არსად და არსოდეს თავი არ შეუწუხებიათ. დროა, დრო დებრთმანი, სენაკის „ბატონ-ზატონებმა“, საქართველოს სხვა დაბების მეთაურებს მიბაძონ და მათ გვერდში ამოუდგენ.

ვეღვასზე უფრო საჭიროა ახლაც აქ სამკითხველო. ზოგიერთ ვაუ-ბატონებს, რომლებსაც ქმნება შეწევსთ შეუძლიათ თავისი საკუთარი ფულით ურესალ-გაზეთები გამოიწერონ და მასთანავე საზოგადო სამკითხველოს დაარსება ითავონ. კიდევაც უნდა რცხვენოდეთ ბ. კოწია თავართქილაძის შინაურ სამკითხველოში შესვლას და ამა და იმ გაზეთის ნომრების ბრძანებითი კილოთი თხზონ. ბ. კოწია თავართქილაძე რომ არ მისულიყო სენაკში, სენაკელები ხომ უბათ ადებული და წყალ წადებული დარჩებოდენ? მარა სადაა მადლობა? გვიგვირს ვინცდა „ოდიშელის“ (ფსევდონიმი) საქციელი, რომელიც თხოულობს მას ეამის შინა არსებულ სამკითხველოს აზგარიშს და აწ დაარსებაზე თავსაც არ იწუხებს. ნეტა ვინცდღეთ რისთვის უნდა მას ის ნივთები? შეიძლება კლუბის მომხრეა და აქ უნდა გადაიტანოს. (სენაკში კლუბი არსებობს და სამკითხველო არა—ზოგჯერისც ამას ჰქვიათ).

სენაკელები გულ-ხელ დაკრეფილი ნუ იქნებიან, თორემ მათი ხარხი შეიძლება უუღმა დატრიალდეს და ვეღვას ის, რაც აქვთ სელიდან გამოცეცდეს. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ სენაკი უფლად საძაგელი საცხოვრებელი ადგილია. აქაური ჯერი დამზალია, ის არც აცხლებს და არც აცივებს და ამის, მარა ისეთიანათ ამტვრევს ტანში, რომ სიკვდილს ახატრებს. მდინარე წყალი მას არ ჩამოუდის და ჭის წყლებიც საზიზღარი სასმელია. ვეღვას ამებთან სენაკიდან საფაქრო



20

ჩინეთის ქარტა.

1900

ცენტრის გადასვლაც მოსალოდნელია სხვა ადგილს. მაგალითათ, ს. ჭვალაში, სადაც ახლა რკინის გზის ბაქანია; იქ მკანი, სადგურის აშენებისა და ახორციელების რკინის გზის მთავრობა და მასთან კი უკუკვლია სენაკის ვაჭრობას და ადგილ მიცემობას ის მოიტაცებს. ერთი სიტყვით, სენაკელებმა თუ არ გამოადვიდეს და ხალხის გუ-

ლი არ მოიგეს კეთილი საქმეებით, ისიც კი დაეკარგებათ რაც აქვთ და სენაკი ქალაქით კი არა და სოფლათ გადაკეთდება.

ისიდორე შიოსძე.



ჩინეთის სწავლული.



ჩინეთის მანდარინი.

ჩინეთის ამბები

წინეთში ისევ ისეთი ამბებია, როგორც იყო. პეკინის ამბები დღემდის არავენ იცის დანამდვილებით, ვიცით მხოლოდ რომ იქ „დიდი მუშტი“ ბატონობს, მაგრამ რა შე-



ჩინეთის სალდათი (ზმთრის ტანისამოსში)

დგვი მოჰყვა ამას — ეს ჯერ უცნობია. ხმები კი მოდის ვითომ იქ უცხოელთ არა უჭირდეთ-რა — მაგრამ ეს საარწმუნო არ უნდა იყვეს. არეულობა თანდათან ვრცელდება ჩრდილოეთისაკენ. ხოლო სამხრეთი წყნარათ არის და იქაური გუბერნატორები არეულობას კიდევაც ეწინააღმდეგებიან. ასე რომ ჩინეთი დღეს ორათ არის დაყოფილი: ჩრდილოეთი — ევროპიელთა წინააღმდეგი და სამხრეთი — ევროპიელთა მომხრე. ეს იმით აიხსნება, რომ ევროპის მთელი ვაჭრობა წარმოდგება სამხრეთიდან, აქ ფულის საბრძანებელი დამყარდა, აღებ-მიცემობამ ფეხი მოიდგა და ამით ევროპასთან დაკავშირდა. ჩრდილოეთში კი არც ერთი ეს ჯერ არ არის და რაღა გასაკვირველია, რომ ევროპიელნი არ სურდეთ. წესიერების დამყარება ყოვლად შეუძლებელია ევროპიელთა იმ ერთი მუქა რაზმით, რომელიც ახლა ჩინეთშია. სანამ ევროპის ჯარები იქ მივიდოდეს — მანამ ერთი თვე გავა და ამ დროს განმავლობაში „დიდი მუშტი“ თავისას იქმს. ამისათვის დიდმა სახელმწიფოებმა ისევ იაპონიას მიმართეს, შენ ახლო ხარ, არეულობის დაწყნარება იტვირთო. როგორც ჩანს იაპონია თანახმაა. ხოლო რას ითხოვს „გასამრჯელოს“ ეს არავენ იცის. უკანასკნელი დებეშები იუწყებიან:

ტიან-ძინი. 24 ივნისი.

შანხაიში მოვიდა შემდეგი დებეშა, პეკინიდან 11 ივნისს გამოგზავნილი: მინისტრთა ბჭობის დროს იუნლუმ მოითხოვა — დამშვიდებულ იქმნას „დიდი-მუშტის“ ამბობება; ქვრივი იმპერატრიცა თანახმა გახდა იუნლუს აზრის; მაგრამ პრინცმა ტუნამა განაცხადა, რომ როგორც მამა ტახტის შემკვიდრისა, რაც უნდა დამიჯდეს, მოვალე ვარ დავიცვა შემკვიდრება ჩემი შვილისათვისაც. ამ აზრს დაეთანხმა კანლი; ორივემ განაცხადა, რომ ვკისრულაბთ ეოველ ზასუხის გეპას და ვუცხადებთ ომს უცხოელთ. შემდეგ გამოვარდენ სათათბირო ოთახიდან ყვირილით: „შოხს ჩვენგან უცხო-ქვეყნელები“. ყვირილი დაიწყო აგრეთვე მანდარინებმა და ბრბომ. ეველამ იარაღს მიჰმართა; იმპერატორს და დედოფალს ჩამართვეს შეთვის ღირსება, და წინადადება მისცეს — ან თავი მოიწამლეო, ან არა და მოკვლავთ. იმპერატორმა სწამლავი დალია; დედოფალმაც დალია სწამლავი, მაგრამ ამ დებეშის გავზავნის დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. — ღონდანი. აქაურ ჩინეთის ელჩს მოუვიდა ღიხუ-ჩანგისაგან დებეშა, რომელშიც ატეობინებს, რომ როგორც შევიტყე, საელჩოები პეკინში უფლებათ არაან და მათ მთავრობა იცავსო. ეს ამბავი აქ სავსებით მიაჩნიათ. გარეშე საქმეთა სამინისტრომ დებეშა მიიღო შანხაიდან, რომ, პეკინიდან მოსულ ცნობებით, 20 ივნისს ორი საელჩო ჯერ კიდევ უფლებია. „დიდი მუშტის“ ბრბონი და ჩინეთის ჯარის-კაცნი მეტათ შეაწყუს იმ გარემოებაში, რომ ამდენ ხანს ვერ განადგურეს ეველა საელჩოები. დაიდუნა ორი ათასზე მეტი ჩინელი ჯარის-

კაცი და „დიდი მუშტის“ რამდენიმე წინამძღოლი. ხალხი ჭიჭიერებს რომ უცხოელთ რაღაც სიადრეულ და სასწაულთ-მომქმედი ძალა აქვთ, რის წყალობით ჩანელთ ჯობინანო. საელჩოებს ვეღარ უახლოვდებიან, მაგრამ ესენი დიდხანს ვერ გამავრდებიან, რადგანაც სურსათი ადარ აქვთ.—შანჭია. 25 ივნისს დიდმა რაზმმა რუსთა და იაზნელთა ჯარისამ, რომელიც ნახევრით მთავრად ზეკინიდან 18 მილის მანძილზე დაამარცხა ჩინელების ჯარი. ჩინელთაგან მოკლულთა 1,000-ზე მეტი. ჩვენმიანის გუბერნატორი, რომელიც აქამდე ტუანს ემორჩილებოდა, სამხრეთ პროვინციის გუბერნატორებს მიემხრო. ტუანმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც ემუქრება სამხრეთ პროვინციების ვიცე-გუბერატორებს, რომ ისე მოგვექცეოთ, ვითარცა მოღალატეებსა.—ბრიუსელი. შანჭიდან დეპუტით იუწყებიან ჩინეთის კაპიტულში დაბეჭდილ ცნობას, რომ ბრინჯ ჩინების ჯარი მოვიდა ზეკინში, რომ ევროპელებს სურსათი მიაწოდოს და დაიცვას შესაძლებელთაგან.—შანჭია. როდესაც უცხო ქვეყნელებს თავს დაესხნენ ზეკინში, გერმანელებმა დაიჭირეს ჩვენმიანის კარები, ხოლო „დიდი მუშტის“ მოწინააღმდეგე ბრინჯის ჩინებმა — დანარჩენი სამი კარი. ატულა ბრძოლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა 2,000 ჩინელი ჯარის-კაცი და 5,000 „დიდი მუშტის“ ჯარის-კაცი. გერმანელებმა დიდატ გამოიჩინეს თავი ვაჟაკობით და ორი ზარბაზნით გატეკეს ახლო ვიწრო ქუჩებიდან ხალხი. იოკაჭამა (იაზნისა). სასტიკი დანისძიება ნახმარი, რომ სიადრეულთ იქონ დატული, რა სამხედრო სამზადისი აქვს იაზნისას ზღვასა და ხმელეთზე. მთავრობამ გადასწიტა, რომ ჯარის რიცხვი 23,000-მდე გაჭხადოს. აქ ჩამოიყვანეს მრავალი დაჭრილი გერმანელი და ინგლისელი. 27 ივნისი. შანჭია. როგორც ჩინეთის წყაროებიდან მიდებულ ცნობები იუწყება, იმპერატორს 30 ივნისიდან ქვეყნის მართვა-გამგეობა კვლავ მიუღია, იუგზუ ბირველ მინისტრათ დაუნიშნავს და ნახევრით იანზეს ვიცე-გუბერატორთან შიკრიკი გაუგზავნია მადლობის გადასახდელათ, რომ იმპერატორს ერთგულთ ემსახურებიან. იმპერატორმა უჩვენეს მათ, რაცკი შეეძლებათ, უცხოელებს მივარჯელობა გაუწიონ (!). 28 ივნისი: ტიან-ძინი. გუშინ ჩინელები უცხოელთა უბნებს ერთთავათ ეუმბარებს უშენდენ. 150-ამდე ეუმბარა გადავარდა უცხოელთა უბანში; მრავალი სახლი ნახევრათ დანგრეულია. ხალხი ბევრი არ დასოცია. ქალებმა და ბავშვებმა ბრძანება მიიღეს ქალაქის შენობის სარდაფებში შეათარონ თავი. იაზნის ქვეითა ჯარის სამმა რატამ, სამთა ბატარეამ და რამდენამდე რუსის ჯარის-კაცმა ჩინეთის ბატარეაზე იერიში მიიტანეს, მაგრამ უნაყოფოთ. მაშინ სამხედრო გემმა „ტირნობლმა“ დაუწყო ეუმბარების სროლა. მტერმაც სამაგიეროთ სროლა დაუწყო; ორი ეუმბარა ზარბაზანს მოჭხვდა და სუბუქათ დაახიანა. მის მაგიერათ ახლა სა-

ფრანგეთის საზღაპარი იქნა დადგმული. ჩინეთის ცენტრალური ჯარის ძალიან კარგათ ისროდა. იაზნელებს კარგად მოეცა ცერი და ორი ჯარის-კაცი მოუკლეს, 20 დაჭრილია. არ იციან, რუსებს ან ჩინელებს რა ზარალი მოუვიდათ. გარდაწვეტილია უკვე ტაკუში მოსული ქალები და ბავშვები იაზნისაში იქნან კატავინილი.



მ მ მ ს ა ნ ი

უღბული არ ვარ კალბობით
კიტკობდეთ ყურთა სმენას,
და ერთიანთ მოვთქვამდე
ქვეყნის ჭირსა და ლხენსა.

ვიცი ცარხევა ავ-კარვის,
ლხინის თუ ტანჯვა-ჭირისა,
ვიცი ვინ ცნობვრებს სხვის ოფ-
ლით,
ვხედავ ვინ ვის განტირისა.

შორიდან მათი შემეურვე
გწევლი მათ ბედის წყრასა,
მსურს მივეშველო დაცემულს,
მაგრამ ვერ ვაწუბ ვერასა.

მაშინ თანა მქვს კალამი,
გამქარვებელი ჭირისა
და ჩაგრულთ უბედურებას
იგი ხალხშია ტირისა!

ბ. ახოსპირელი


ჯაფახეთი და ჯაფახელნი.

IV

(გაგრძელება)*

ბართველთა და სომეხთა ურთიერთობას არა თუ ჩვენ საზოგადოებაში, მწერლობაშიაც ხშირათ გამოუწვევია, შეიძლება მომავალშიც გამოიწვიოს, კამათი და აზრთა სხვა და სხვაოაა. მაშინ, როდესაც ერთნი ამტკიცებენ: სომეხებსა და ქართველებს შუა ბრძოლაა ეროვნულ ნიადაგზე და ამიტომ ამ ბრძოლის მოსპობა შეუძლებელიაო, მეორენი იმ აზრისა არიან, რომ ამ ორ ერს შორის არავითარი ეროვნული ბრძოლა არ არის, არსებობს მხოლოდ მეტოქეობა ეკონომიურ ნიადაგზე,

* იხ. „ველი“ № 24.



ამიტომ მტრობის განგებ გაძლიერება და ეროვნების სამოსელში გამოხვევა, გარდა იმისა რომ შეცდომაა, დიდათ მანებელია ორივე ერისთვისო. ჩემთვის დღემდე ცხადი იყო, რომ ჩვენ შორის არავითარი ეროვნული მტრობა არ არსებობდა. არსებობს მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა სომხების ბურჟუაზიასა და ჩვენი არისტოკრატიის შორის! რომ ეს ბრძოლა სომეხ-ქართველთა შორის მხოლოდ ეკონომიურია და არა ეროვნული, ამის საუცხოვო დამტკიცებას ჯავახეთი იძლევა. ჯავახეთში ცხოვრობენ სამი ერის წარმომადგენლები: ქართველები, სომხები და თათრები. თათრები როგორღაც განკერძოებულათ არიან. სომხები და ქართველები კი ზოგ სოფლებში არეული არიან, ზოგი სოფლები კი მარტო სომხებისაგან ან ქართველებისაგან შედგება. როგორი დამოკიდებულებაა აქ სომხებსა და ქართველებს შორის? არავითარი ბრძოლა, არავითარი მტრობა ამათ შორის არ არსებობს, აქ ამათ შორის სრული მეგობრობაა და თანხმობა. როცა სომხებსა და ქართველებს აქ ერთათ ხედავთ, სრულებით გავიწყდებათ, რომ ესენი ორი სხვა და სხვა ერის წარმომადგენელი არიან, და ასე გგონიათ, თითქოს ყველა ერთსა და იმავე ერს ეკუთვნოდეს. ქართველები შვენიერათ ლაპარაკობენ სომხურათ, სომხები ქართულათ, თუმცა ყველა არა, ერთმანეთში დაურღვეველი მეზობლობა აქვსთ. მიწის-ძვრისაგან დაზარალებული სომხები უმეტესათ ქართველებმა შეიფარეს, მათი ხიზანი და საქონელი ქართველებმა გამოჰკვებეს. ქართველი რომ ავით ხდება აქ, ბევრგან მოჰყავსთ სომხის ღვდელი და დავითნს აკითხებენ; ეროვნულ მტრობას რომ აქ ალაგი ჰქონდეს, ასეთი ჩვეულება შეუძლებელი იქნებოდა. ბევრი ზნე ჩვეულება აქ სომხებსა და ქართველებს ერთი და იგივე აქვსთ, გარეგნობითაც კი ისე დამზგავსებიან ერთმანეთს, რომ ხშირათ ვერ გამოიცნობთ, ქართველია თუ სომეხი. მარტო ეროვნება რომ მტრობას იწვევდეს, აქაც იქნება უსათუოთ მტრობა და, თუ არ არის, აშკარაა, რომ ეროვნება აქ არაფერ შუაშია. მამ რათ ცხოვრობენ მეგობრულათ და მეზობლურათ ჯავახელი ქართველი და სომეხი, რატომ არა აქვსთ ერთმანეთში მტრობა? იმიტომ რომ მათ შორის არ არსებობს მეტოქეობა ეკონომიურ ნიადაგზე, მათი ინტერესები პარალელურათ მიმდინარეობენ და ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან; აქ ქართველი არ აზის სომეხს კისერზე და მისი სისხლით არ საზრდოობს, აგრეთვე სომეხი არ წოვს სისხლს ქართველს. რასაკვირველია; მომავალში როცა ცხოვრება აქაც გაასახოვნებს სხვა და სხვა

კლასებ, ასეთი განწყობილება დაირღვევა, დღეს კი ქართველი გლეხიც მიწის მუშაა აქ და სომეხიც. ორივეს განსაზღვრული მიწა აქვს, ორივე თავისი საკუთარი მიწის შემოსავლით საზრდოობს და ცხოვრობს; მათ ხშირათა აქვსთ ერთმანეთში საერთო საქმე: მაგალითათ, მამასახლისის და სხვა სოფლის მოხელე პირების ამორჩევა, მწერლის დაყენება, საერთო სათიბის მოვლა-პატრონობა, საერთო მწყემსების დაქირავება და სხ. ისინი ერთათ ცხოვრობენ, ჭირში ერთმანეთს თანაუგრძნობენ, ლხინს ერთი მეორეს უზიარებენ. პატრიარქალუცხოვრების მარტივი პარობანი არ აიძულებს ერთს, მეორე დაჩაგროს, შეავიწროვოს და თავისი კეთილდღეობა იმის დამქლევებაზე დაამყაროს, ამის გამო მტრობაც ამათ შორის შეუძლებელია. აქ არა თუ არ იციან, რა არის ეროვნული მტრობა, პირიქით სრული კოსმოპოლიტები არიან ამ შემთხვევაში. ხშირათ შეხვდებით სომეხს, რომელიც გეუბნებათ: თავი და თავი ის არის, რომ ადამიანი ადამიანი აყოს და სომეხი იქნება ის, ქართველი თუ თათარი, სულ ერთიაო; ამასვე გეუბნებათ ქართველი გლეხიც. ასეთ აზრს აქაური გლეხი პატარაობიდანვე ეჩვევა, თუ სოფელში იზრდება ის. ხშირათ ტრიალობს სომეხი ქართველ ბავშვებში, ქართველი სომხას ბავშვებში და სიპატარივიდანვე ეჩვევიან ერთმანეთს; თუ სასწავლებელში არიან, (აქაურ სოფლებში ბევრგან არის სასწავლებლები) ქართველი და სომეხი ბავში ერთათ სხედან, ერთათ სწავლობენ და ამის გამო ბევრს ნახავთ აქ სომეხს, რომლებმაც ქართული წერაკითხვა კარგათ იციან და აგრეთვე ქართველებსაც, რომლებიც სომხურათ წერენ და კითხულობენ. სამწუხაროთ, დაბალი ხალხის ასეთ აზრს, ერთმანეთის მეზობლობას და მეგობრობას მოკლებულია აქაური ინტელიგენცია და უფრო სომხის ინტელიგენცია, ვიდრე ქართველების. ქართველ ინტელიგენციაში არიან თითო-ოროლა პირი, რომლებიც სომეხს გარეშეთ უყურებენ და მათთან არავითარი საქმის დაჭერა არ უნდათ, მაგრამ აქაური ქართველი ინტელიგენციის უმეტესობა სრული პატივის ცემით ეპყრობა სომხობას, შემთხვევისა და საჭიროების დროს ეხმარება და ცდილობს სომხის ინტელიგენციასთან დაახლოებას, მასთან ერთათ საერთო საქმის გაჩინასა და მუშაობას. სომხების ინტელიგენციაში კი ამას ვერა ვხედავთ; ის ქართველი ინტელიგენციის მხოლოდ შორეული ნაცნობია, განცალკევებულათ იჭერს თავს, მასთან დაახლოებას, საქმის დაჭერას როგორღაც ერიდება, ქართველ ინტელიგენციას ეჭვის თვალით უცქერის და დარწმუნებულია, რომ ქართველობას

მათთვის ზიანის მეტი არა სურს რა, თუმცა ქართველი ინტელიგენციის მოქმედება სრულიად წინააღმდეგს გვეუბნება. ასეთი მავნებელი მიმართულება აქაურმა სომხის ინტელიგენციამ დაბალ ხალხშიაც ეს ეს არის შემოიტანა: დღემდის თუ აქაური სომეხი გლეხი ქართველსა და სომეხს ერთი მეორეში არ არჩევდა, დღეს ზოგიერთ ალღვას წინააღმდეგ ნიშნებს ვხედავთ. სომხის ინტელიგენციის ასეთი მიმართულება, განკერძოებულაო ცხოვრება და მოქმედება ფრიად და ფრიად სამწუხაროა და მავნებელი. ჯავახეთში ქართველი და სომეხი ერთაო, ცხოვრობენ, სიზარმაცე, სიბინძურე, გონებრივი სიბნელე ორივესთვისაა და, ვისაც სურვილი აქვს ან შეუძლია, აქაურ ხალხს შეძლებისა დავარათ დაეხმაროს, მან უსათუოთ ორივესათვის უნდა იზრუნოს—სომხებისთვისაც და ქართველებისთვისაც—ორივეს მოკეთე უნდა იყვეს, მიუხედავად იმისა, ქართველი იქნება თუ სომეხი; უამისოთ აქ რაიმე საქმის გაკეთება, სარგებლობის მოტანა ყოველად შეუძლებელია. რადგანაც ჯავახეთის სოფლის შესახებ დავიწყე მუსაიფი, ორიოდ სიტყვას სოფლის ინტელიგენციას ვიტყვი. აქაური სოფლის ინტელიგენციის უმთავრესათ სოფლის მასწავლებლები შეადგენენ. სოფლის ინტელიგენციით, როგორც ქართველობას ისე სომხობას შეუძლია, თავი მოიწონოს. ესენი მართლა საქმის ხალხნი არიან და არა მართო სიტყვით. დილიდან საღამომდე ან სასწავლებელში მუშაობენ, ან ხალხს ეხმარებიან და აქაურ ბნელ ცხოვრებაში მცირეოდენი შუქი შემოაქვსთ. მათი მუშაობა სრულიად უანგაროა, ისინი მხოლოდ ზნეობრივად კმაყოფილებიან; მუშაობენ ასეთ მივარდნილ კუთხეში ისე, რომ მათ ვერავინ ხედავს, არავინ იცნობს, არავინ აფასებს, მათი დაფასება ჯერ იმ ხალხსაც არ შეუძლია, რომელსაც ისინი ემსახურებიან, მაგრამ საუკეთესო დაფასება ის ზნეობრივი კმაყოფილებაა, რომელსაც ესენი თავისი მოქმედებით, თავისი მოღვაწეობით გრძნობენ. ვინ იქნება იმ ადამიანზე ბედნიერი, რომელიც კმაყოფილია თავისი მოქმედებით? არავინ.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

წმირილი საფრანგეთიდან

მუშათა პარტია დემოკრატიულ რეფორმების მომხრე.
 — ადგილობრივი თვით-მართველობა. — მუშათა პარტია
 მუნიციპალიტეტებში. — მაისის არჩევნები.

(შემდეგი *)

პარიზში რეაქციის მუქათათ არ ჩაუარა ხმაურობამ. არჩეულ იქნა 41 რეაქციონერი (მათ შორის

32 წმინდა ნაციონალისტი), დანარჩენ პარტიებიდან — რესპუბლიკანელი 4; რადიკალ-სოციალისტი 16; სოციალისტი 19. რეაქციონერებს დუშაში მოუვიდათ. ამას არ ელოდენ არამც თუ მისი მოწინააღმდეგე პარტიები, თვით რეაქციონერები გაუტყრებული დარჩენ და პირველი სასიხარულო ხმა, რომელიც ამოხდათ გულიდან იყო, „გაუმარჯოს ჯარს!“ „გაუმარჯოს დერულედს!“ „ძირს რესპულიკა!“ და სხ.. ახლა-კი სამუდამოთ დაიმარხება „დაწყველილი საქმე!“ (ე. ი. დრეიფუსის პროცესი) ულოცავდენ იგინი ერთმანეთს. სამადლობელი ადრესები მიართვეს როშფორს, დრიუმონს, ფრანსუა კოპეს, ლემეტრს და სხ. ბელადებს „სანაქებო ბრძოლისათვის „სამშობლოს — დაკარგულთა“ (sans patrie, ვითომ სოციალისტები) წინააღმდეგ. უმაღვე აფრინეს მახარობელი დერულედთან და „უდიდესმა პატრიოტმა“ რა სცნო ამბავი ესე, ლალად ჰყო: „პარლამენტურმა რესპუბლიკამ თავისი დრო მოქამა... მან დამტკიცა თავისი ულონობა ინტერნაციონალიზმის და კოლექტივიზმის წინააღმდეგ“ და სხ. „პარიზის მუნიციპალური არჩევნები — წერდა კლერიკალურ-ნაციონალისტური ორგანო „Eclair“ — აღნიშნავენ საზოგადოებრივი აზრის ცხად ევოლიუციას ზომიერ, ლიბერალურ და ქვეშაობი ნაციონალისტურ პოლიტიკისაკენ, რომლის შესანიშნავი წარმომადგენელი პარლამენტში არის მელინი“. თვით მელინი, რასაკვარველია კმაყოფილი დარჩა არჩევნებით, „მარა — გულნატკენათ შენიშნა მან „Patrie“-ის რედაქტორს — საქმე ეს არის რომ სოციალისტებმაც საგრძნობლაო გაიმარჯვეს ზოგიერთ კომუნებში“. ბრძოლის ველზე დგას — თქვა კიდევ მელინმა — ნაციონალიზმი და სოციალიზმი, რესპუბლიკანური პარტია უკან დგებოა. და მართლაც უკან დადგა. თუ ვინმე ჩაითვლება პარიზის არჩევნებზე დამარცხებულათ, ეს არის რესპუბლიკანური პარტია. ამ პარტიის სილაჩრე და უენერგიობაა მიზეზი, რომ არჩეულ იქმნა რეაქციონერთა უმრავლესობა. რესპუბლიკანელთა საცოდავი მდგომარეობის მიზეზი კი მათი საიდუმლო სიმპატია რეაქციის მიმართ. რესპუბლიკანელნი ვერ ახერხებენ ყოველთვის ამ სიმპატიის საიდუმლოთ შენახვას. აი მაგ. რას წერდენ მათი გაზეთები. Temps-ი ასე მიმართავდა ახლათ არჩეულ რეაქციონერ ხმონებს: სიმართლე რომ ვთქვათ, თქვენც ისეთივე წეს-რიგის დამცველნი ხართ (des hommes d'ordre), როგორც ჩვენ. თქვენსა და ჩვენ შორის მხოლოდ მცირეოდენი განსხვავებაა და ხშირათ ჩვენს უთანხმოება ერთმანეთის გაუგებრობის (malentendu) შედეგიაო. Figaro: ვიცით რომ თქვენ საქალაქო საავთმყოფოებში შეიყვანთ მოლოზნებს, სუბსიდიებს

*) იხ. „კვალი“ № 24.

შისცემთ ბერებსა და „კონგრეგაციების“ სკოლებს, საქალაქო საქმეებს დაულოცავთ კერძო კომპანიებს, მარა გაზეთის აზრი ყველა ეს არსებითი არ არის. იგი მხოლოდ ურჩევს ხმოსნებს სიმშვიდე და სიწყნარე დაიცვან, რომ გამოფენას არ შემოფთხეს ხალხი და კომერციამ არ იზარალოსო. **Journal des Débats:** თქვენის არჩევით ვხედავთ, რომ პარიზი წინააღმდეგია წითელი დროშის, მუშათა გაფიცვის, სოციალისტურ აგიტაციის და სხ. შემდეგ ჟურნალი მამობრივ დარიგებას აძლევს: წრეს გადასულ ხმაურობას თავი დაანებეთ და დაანახვეთ ქვეყანას, რომ ნამდვილია და ყველა სიკეთის მექანე ბურჟუები ხართო. მეორე მიზიზი იმისა, რომ რეაქციას აღწუხე დაუჯდა კოჭი, არის თვით საარჩევნო წესრიგი. პარიზი ისეა გაყოფილი საარჩევნო „კვარტალებათ“, რომ ქალაქის მდიდარი ნაწილი შედარებით უფრო მეტ ხმოსნებს ირჩევს, ვინცმ დანარჩენი ქალაქი. ეს შემდეგი ციფრებიდანაც ჩანს: რეაქციონერებმა საერთოთ მიიღეს 184,164 ხმა, დანარჩენ პარტიებმა 208.290, ე. ი. 25 ათასით მეტი. ხმოსნები კი პირველათ აირჩიეს 41, მეორეებმა 39. უმთავრესი მიზეზი კი უნდა ვეძიოთ თვით ამრჩევლებში. საქმე იმაშია, რომ პარიზის მცხოვრებთა საგრძნობელ ნაწილს შეადგენს წვრილი ბურჟუაზია, რომლის საზოგადოებრივი თუ ნივთიერი მდგომარეობა დღითიდღე ძირს მიექანება სხვილი მრეწველობის და სხვილი ვაჭრობის შეუფერებელი განვითარების წყალობით. უკანასკნელ ხანებში, ისეთმა უზარმაზარმა მაღაზიებმა, როგორც არის „ლუვრი“, „ბონ-მარშე“ და სხ. წვრილი მოვაჭრენი, როგორც იტყვიან, არც მოპკლა და არც დაარჩინა. ასეთი უკიდურესი და უნუგეშო მდგომარეობისაგან გონ-დაკარგული წვრილი მოვაჭრენი, წვრილი მესაკუთრენი საიდანაც კი გაიგონებენ: პარიჟა დოვლათს არიგებენო, იქით მირბიან თავ-გადაგლეჯილნი. ასეთი ხმა ამ ჟამათ ნაციონალისტებისაგან გაიგონეს და კიდევ გაეშურენ მათ ასარჩევათ. მარა წვრილი ბურჟუაზია, აღრე თუ გვიან, მაინც მიხედება, რომ რეაქციონერები თავისი დაპირებებით მას მხოლოდ მახეს უგებენ, რომ ის უფრო ადვილათ გადაყლაპონ და თავისუფლათ მოინელონ. მაშინ იგი ზურგს შეაქცევს რეაქციას და მიმართავს იმ პარტიას, რომელიც ქვემარტათ იბრძვის ყველა დაჩაგრულთა სასარგებლოთ.

პუბლიკანელი, 6 რადიკალი და 6 რადიკალ-სოციალისტი. მაგრამ რეაქციონერებს თითქმის სრულიად შემოსწყრა ბედი საფრანგეთის დანარჩენ კომუნების მუნიციპალიტეტების არჩევნებზე. ოფიციალური ცნობებით მთელ საფრანგეთში (გარდა პარიზისა) არჩეულ იქნენ შემდეგი მუნიციპალიტეტები: რესპუბლიკანური¹⁾ (ე. ი. სადაც რეაქციონერები ან სულ არ ურევნიან და ან უმნიშვნელო რიცხვს შეადგენენ) 21.832, რეაქციონერი 8.672, საქვერ (ე. ი. სადაც ხმოსანთა პოლიტიკურ პარტიებათ განაწილება ჯერ სწორეთ არ არის ცნობილი ოფიციალურ სტატისტიკისაგან) 438. ხმები მიიღეს: რესპუბლიკანელებმა¹⁾ 4.713.467; რეაქციონერებმა 2.346.753 (ამათში წმინდა ნაციონალისტებმა 17.430).

რაც შეეხება კერძოთ მუშათა პარტიას, მას, როგორც ყოველთვის, თავი მაღლა უჭირავს; როგორც ყოველთვის, იგი ბრძოლიდან უფრო გაზდილი, უფრო გაღონიერებული გამოვიდა. თვით პარიჟში, სადაც გათამამებულ რეაქციას უმთავრესათ სოციალისტები ჰყავდა ნიშანში ამოღებული, პარტიამ შეიარჩინა საერთო რიცხვი წინანდელ ადგილებისა და ამასთანავე, წარსულ, 96 წლის არჩევნებთან შედარებით, 26 ათასით მეტი ხმა მიიღო. ასე რომ, თუ ერთი პარიზი რეაქციას ჩაუვარდა მკლავებში, მეორე პარიზი მტკიცეთ ადგას დიდი რევოლუციისაგან ნასწავლ გზას და იკრფავს ძალ-ღონეს, რომ ღირსეულათ შეხვდეს მომავალს. პარტიამ უფრო მეტი ძალა გამოიჩინა პარიზს გარეთ, საფრანგეთის სხვა ქალაქებსა და პროვინციებში. ზოგიერთ კომუნებში ახლათ არჩეულ მუნიციპალიტეტებში ყველა ხმოსნები სოციალისტები არიან. მუშათა პარტიის წარმომადგენელნი არჩეულ იქნენ ისეთ კომუნებშიაც, სადაც პარტიას წინეთ არც ერთი ადგილი არა ჰქონდა დაჭერილი. ბევრგან მერებათაც (ქალაქის თავი) არჩეულ იქნენ სოციალისტები. მაგ. მარსელში, ლილში, რუბენში, რუენში, ბურჟენში, მონსო-დე-მინში, სენტ-ეტიენში და სხ. პარტიამ განსაკუთრებით გაიმარჯვა ჩრდილო და არდენის დეპარტამენტებში. უკანასკნელში არჩეულ იქნა 490 სოციალისტი, 192-ით მეტი 96 წელთან შედარებით. ხსენებულ დეპარტამენტში სულ 52 კომუნაა. ამათგან 12 კომუნაში ყველა ხმოსნები სოციალისტები არიან. 17-ში დიდ უმრავლესობას შეადგენენ და დანარჩენ 23-შიც საგრძნობელ ნაწილს. მუშათა პარტიამ მრავალ კომუნებში მოახდინა სადღესასწაულო მანიფესტაცია. ხალხი არჩეულ ხმოსნებსა და მერებს წითე-

სენის დეპარტამენტის „გენერალურ საბჭოს“ წევრთა არჩევნებზე რეაქციონერებმა თუ ვერ ვაიმარჯვეს, არც წააგეს ბრძოლა. ასარჩევი იყო 21 წევრი. არჩეულ იქნა 7 ნაციონალისტი, 2 რეს-

1) მითვლილია სოციალისტებიც.

ლი ყვაველებს თაიგულებით ულოცავდა გამარჯვებას. ხალხი აგონებდა რეაქციონერებს რომ მალე დარეკავს მათი უკანასკნელი საათი და „კართაგენიც დაინგრევა“.

P. S. გაიხსნა თუ არა პარლამენტის სესხია რეაქცია პირობისამებრ გაეშურა სამინისტროს წინააღმდეგ იერიშის მისატანათ. მარა სამინისტრო არ შეიძრა ადგილიდან. მას მოშორდა მხოლოდ ერთი წევრი. სამინისტროს თავი დაანება გენერალ გალიფემ, რომლის ნაცვლათ დანიშნულ იქმნა გენ. ანდრე²⁾ (რესპუბლიკანელი). ეს მოხდა იმის მესამე დღეს, როცა პარიჟის პროლეტარიატმა მანიფესტაცია მოახდინა 71 წელს დახოცილ კომუნარების საფლავზე, როცა მან წითელი გვირგვინებით შეამკო თავის მიცვალებულთა საფლავი და გულ-გამეხებული იძახდა: „ძირს კაცის-მკვლელი გალიფე!“ „გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკასო!..“ გალიფე სამსახურის თავის დანებების მიზეზათ ასახელებს ავანტიურას, ხოლო რეაქციონერი პრესა კი ირწმუნება, რომ გენერალმა „უღირსათ დაინახა რესპუბლიკანურ სამინისტროში ყოფნა და გაბრაზებულმა პორტფელი ვალდეკ-რუსოს თავში მიახეთქა“... პარლამენტმა სამინისტროს რამდენჯერმე ნდობა გამოუცხადა 41—50 ხმის უმეტესობით. რიბომ (მელინის პოლიტიკური მეგობარი) მუქარით წარმოთქვა: ექვს თვეს შემდეგ (ე. ი. გამოფენის გათავებას შემდეგ) მთავრობას rendez-vous-ს (შეხვედრას) ვუნიშნავ აქვე (პარლამენტში). და მას რეაქციონერთა დასმა ბანი მისცა: გამოფენის პატივით ექვსი თვის არსებობა გვიჩუქებია მთავრობისთვისო. ვალდეკ-რუსომ კვლავ გაიმეორა თავისი აღთქმა: მთავრობას აზრათა აქვს — თუ პარლამენტი დაეთანხმება — განახორციელოს რესპუბლიკანური რეფორმები, შემოიღოს უსაქიროესი კანონები შრომის სასარგებლოდ და კლერიკალების და საზოგადოთ რეაქციის საწინააღმდეგოთო. მემარცხენეთა ბანაკში ტაშის ქუხილი იყო პასუხათ. ჯერ-ჯერობით პარლამენტის წინაშე წარდგენილია კითხვა დრეიფუსის პროცესის ამნისტიის შესახებ. იგი შეეხება კერძოდ დრეიფუსის, ზოლას, პიკარის და რენიაკის საქმეების გაუქმებას. ამნისტია უკვე მიიღო სენატმა (238 ხმით წინააღმდეგ 34-სა). ყველაზე უმეტესათ ამნისტიას მოწადინებული იყო რეაქცია. მარა რაკი უკანასკნელ დღეს დაინახა, რომ იგი არა ვრცელდებოდა დერულედსა, გერენსა და სხვა უმაღლესი სასამართლოს მიერ დასჯილ ავაზაკებზე, ასტება სენატში

ერთი ვაი-უშველებელი: არ გვინდა მაგისტრატა მხრივი ამნისტია და აზოულობდა კანონის გაფართოებას. სენატმა უარ ჰყო მათი მოთხოვნა (165 ხმით წინააღმდეგ 102-სა). სენატის მიერ მიღებული ამნისტია, ექვს გარეშეა რომ მიღებულ იქმნება პარლამენტისაგანაც. საზოგადოთ, დღეს საფრანგეთში დრეიფუსის საქმე ყველას მოგზვრებული აქვს; როგორც საზოგადოებას, ისე უმეტეს ნაწილს პოლიტიკურ პარტიებისას. ამ საქმეს არ ივიწყებს მხოლოდ რეაქცია. იგი ყოველ ცისმარე დღეს ერთსა და იმავეს ვაიძახის თავში-დაკრულივით: დრეიფუსი, დრეიფუსი!.. ურიები, ურიებიო! ეტყობა დრეიფუსის საქმეს მისთვის საგრძობელი ტკივილები მიუყენებია. რაც შეეხება ქვემარტივობაშიც, მას ახლა ნიშნში ამოღებული აქვს მხოლოდ იმ კითხვათა გადაჭრა, რომელიც „დრეიფუსის საქმემ“ წამოაყენა: ჯარისა და სამხედრო წყობილობის რეორგანიზაცია (გადასხვაფერება) თანხმათ დემოკრატიული პრინციპებისა, კერძოდ და რეაქციის შემუსვრა, საზოგადოთ. როგორც ზემოთ მოყვანილი ვალდეკ-რუსოს სიტყვებიდან დავინახეთ, მთავრობა თითქმის გვერდში უდგება ოპოზიციას და ამავე მიმართულებით ჰპირდება მოქმედებას. მერე შეასრულებს კი დაპირებას? აქცევს საქმეთ თავის სიტყვას? თუ სიტყვებზე შორს ვერ წავა ან და ხვალვე ვალდეკ-რუსოს ადგილას წამოვდებ. რიბო ან რომელიმე მისი ფერი „რესპუბლიკანელი“ და უარს დაიძახებს რეაქცია? ამას დაგვანახვებს ახლო მომავალი. მარა დღეიდანვე კი ცხადია ერთი: როგორც უნდა სამინისტრო კომბინაცია მოხდეს, რეაქციამ სადაც უნდა ამოჰყოს თავი სამინისტროში, პარლამენტში თუ მუნიციპალიტეტებში, რაც უნდა მოიმოქმედოს, საითაც უნდა მიიქცეს მას აუცილებლოთ — როგორც თვით სიკვდილი — წინ დახვდება უძლეველი კლდე, რომლის სიმაგრეზედაც უნდა დაიმსხვრას ყოველივე მისი დაწესებულება, ყველა მისი განზრახვები და იმედები. ეს კლდეა გაცნობიერებული პროლეტარიატი.

პარიჟი. ლ. დ.

სიმართლის ნაამბობი.

ქვეყანაზე ყველანაირი არსება იმიტომ იბადება, რომ მან ბევრს და ბევრნაირ ტანჯვა-წვალებასთან ერთათ — ერთი ორიოდე ყლოუპი სიამოვნება და სიტკბოებაც იგემოს. მე, სიმართლე, კი მარტო-მარტო ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალებისათვის დავბადებულვარ. სიხარული, სიამოვნება, სიტკბოება

²⁾ ეს ის გენერალია, რომელმაც პირველათ აკრძალა თავის კანონებში ნაციონალისტურ-კლერიკალური პრესა.

და სხვა ამისთანა სიტყვები მხოლოდ ცალიერი სიტყვებია ჩემთვის და სხვა არაფერი. მე ამ სიტყვებთან ერთათ ვერაფერი წარმოადგენ ვერ შემიერთებია, რადგანაც ის, რასაც ესენი ხატავენ და აღნიშნავენ, ჩემ სიცოცხლეში არ მიგრძენია, არ გამომიცლია.

ჩემი დაბადების დღიდან დაწყებული მთელი ჩემი ცხოვრება დაფარულ, მონურ წვალებაში გაფატარე. შიმშილი, სიცივე, სიბნელე, სიტუტვლე და ამათთან ერთათ მუდმივი უდიერი ჯაფა და შრომა, აი ჩემი ისტორიული ხვედრა. ვინ იყო ჩემი ამნაირათ მწამებელი, სულთამხუთავი? ვინ და სიფრუე, რომელსაც ცხოვრების ბრუნვა სხვა-და-სხვა დროს, სხვა-და-სხვა სახით მოავლინებდა და ამის დაგვართ ასხვაფერებებდა ჩემ წვალებას; ის სასტიკათ მწოვდა სისხლს და უდროთ მიმოკლებდა სიცოცხლეს. თვითონ კი მუდამ განცხრომაში, ფუფუნებაში და მუქთა-ხრობაში ატარებდა წუთი-სოფელს. შიმშილი, სიცივე, სიტუტვლე და სხვა ამისთანები მხოლოდ სიტყვებით იცოდა. ამ ნაირათ დროს მატარებელი სიცრუე თავის უმაჟრესს ჭკუის ძალას იმას ახმარებდა, თუ რა გზით მოეხვეჭნა და როგორ მოეხმარებინა ჩემი ოფლით მონაგარი. სიცრუის ამნაირი მდგომარეობა და თვით მისი არსებობაც კი ჩემ დაჯახნაზე და ჩაწიხვლაზე იყო დამყარებული.

მე და სიცრუეს შორის მუდამ არსებობდა განუწყვეტელი ბრძოლა, ხან ჩუმი და ხან პირდაპირი, რომელიც სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ნაირათ იჩენდა თავს. მაგრამ, რანაირიც უნდა ყოფილიყო ეს ბრძოლა, მე სულ მუდამ დამარცხებული ვრჩებოდი. ან კი როგორ არ ვიქმნებოდი ყოველთვის დამარცხებული, როდესაც სიცრუე ყველანაირი საბრძოლველი იარაღით იყო აღჭურვილი და მე კი ყველა ამ იარაღს მოკლებული? სიცრუის ხელში იყო სიმდიდრე, ძალა, ცოდნა და სხვა; ჩემ ხელში კი არც ერთი ამათგანი. გარდა იმისა სიცრუეს ჰყავდა ერთგული მეგობრები, მონამოსამსახურეები, რომლებსაც ერთგული სამსახურისთვის ჯამაგირათ აძლევდა, უნაწილებდა ჩემგან ამონაწილს სისხლს. ესენი გახლდნენ: ფარისევლობა, პირფერობა, გაიძვერობა, ჭორი და სხვა ამათთანა ვაჟბატონები. მე კი ჩემი თავის მეტი თანამგრძობელი არავინ გამაჩნდა.


თუმცა ნამდვილი ჩვენი ცხოვრება ასე მიმდინარეობდა, მაგრამ სიცრუე სულ სხვა ფერათ აჩვენებდა სინამდვილეს. ის, როგორც სიცრუე, მუდამ ჩემი სახელით ინათლებოდა, ჩემ ქერქში ეხვეოდა და ამ სახით ეჩვენებოდა ქვეყანას. რაც სინამდვი-

ლით მე მეკუთნოდა, ის ყველა ამას ცხადლივ ისაკუთრებდა; რასაც სინამდვილით მე ვაკეთებდი და რაც ჩემ ღვაწლს შეადგენდა, ის ყველა ამას თვითონ იჩენებდა, თავის-თავს აწერდა, აქებდა და აღიდებდა. ამავე დროს ის გარდაუვალ საზღვარსა დებდა ჩემსა და თავის-თავს შუა. მე მის თვალში ყოველგვარ უფლებებს ვიყავი მოკლებული. ერთი სიტყვით სიცრუე, როგორც სიცრუე, შავს თეთრათ აჩვენებდა და თეთრს შავათ. მეც, როგორც განუვითარებელი და უცოდინარი, ჩემდა საუბედუროთ, ყველაფერს, ჩემს თავსაც კი, სიცრუის თვალებით ვუტყვეროდი. სხვაფრივაც არ შემეძლო, რადგანაც მე მაშინ არა მქონდა თვით-ცნობიერება, ის თვით-ცნობიერება, რომელიც მხოლოდ ახლა შემომეშავდა, როდესაც ჩემი და სიცრუის განხეთქილებამ და დამოკიდებულობამ უმწვირვალეს წერტილამდე მიადწიეს. დღევანდელმა ჩვენმა ცხოვრებამ ჩამოგვხსნა თეთრის შავათ მაჩვენებელი სათვალეები; მან თვალსაჩინოთ გახადა წარსული და აწმყო და შუქი მოჰფინა მომავალსაც.

წლევანდელ ჩვენ ცხოვრებაზე ბევრს არ ვილაპარაკებ; ვიტყვი მხოლოდ მოკლეთ: დღევანდელმა ცხოვრებამ ყველას, თვით სიცრუესაც კი, ნათლათ დაანახვა თავისი თავი, როგორც სიცრუე და ჩემი თავი როგორც სიმართლე.

მე ამ ზემოთ-ნათქვამით იმასარ ვამბობ, რომ ჩემი ცხოვრება სხვანაირათ უნდა მოწყობილიყო, სხვა გზით უნდა ევლო. მე პირიქით ვამტკიცებ, რომ ჩემი და სიცრუის ამნაირათ ცხოვრებას და დამოკიდებულობას აუცილებლობა, კაცობრიობის კულტურული წინმსვლელობა მოითხოვდა, მაგრამ დღეს კი თვით ეს აუცილებლობა, კაცობრიობის განვითარება თავის უღმობელი კანონებით და მათთან ერთათ მეც მოვითხოვთ (უკეთ რომ ვთქვა: ესენი მათხოვნიებენ), რომ დღეს თუ არა, ახლო მომავალში მაინც უთუოთ გავთავისუფლდე სიცრუისა და მისი თანამომქმეთა კლანჭებისაგან, გავმეფდე და გავამეფო ამ ქვეყნათ: ქვეშარტება, სიმართლე და ძმობა.

ი—ი.



საქველ-მოქველ სქემი

I.

შენო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ, თქვენი პატრივციემული გაზეთი „კვალის“ საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოუტახადოთ ბ. ივანე ბესარიონის ძე იმნაძეს, რომელმაც მიიღო შრომა და შეგვეყრიბა ქ. ბაჟომში თავის ნაცნობებუთა შორის 29 მ. 60 კ. ლანჩხუთის უფსაო წიგნთ-საცავ-

სამკითხველთა
გამგეობის

სამკითხველთა შენობის ასაგებათ. გულითად მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე იმ პატივცემულ პირთ, რომლებმაც ვაგვიწიეს თანაგრძნობა და არ დაიშურეს თავიანთ წვლილი ამ კეთილ საქმისათვის. სია შემომწირველთა: ვარლამ პავლეს ძე ებრაელიძემ, ივანე ბ. იმნაძემ, ნესტორ ანტ. ლორიამ, რაქდენ მეთოდეს ძე გარჯალაძემ—სამ-სამი მანეთი; ლაზ. ურუშაძემ, სია ნ. ურუშაძემ—ორ-ორი მანეთი; გრ. ნადარეიშვილმა, კოწ. წილოსანმა, იასონ სიორიძემ, ნ. ჭავჭავაძემ, დიმ. გოგიტიძემ, ეგტ. ხორთონსკიმ, აკ. სოგოიანმა, პოლიმნაძემ, ნიკ. ლლონტმა—თითო მანეთი; ნ. იმნაძემ, ს. ილ. კალანდარაშვილმა—ათ-ათი შაური; ნ. ქალაღარიამ—სამი აბაზი.

ლანჩხუთის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველთა მართველი ნ. მხეიძე.
გამგე გ. ურატაძე

II.

ქ-ნო რედაქტორო! უღრმეს მადლობას ვუცხადებ ბ. იაგორ ბოლქვაძეს, რომელმაც გადმომცა რწმუნებულ ჩემდამო მიქელ-გაბრიელის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველთა სასარგებლოთ მის მიერ ნაცნობთა შორის შეკრებილი 9 მანეთი და 15 კაპ.

სია შემომწირველთა: ივანე საბაშვილმა 2 მან.; შპროხმა 1 მ.; სამუელ თავაძემ 1 მ.; პომორცოვმა 50 კ.; შალამერმა 50 კ.; ალექსანდრე კუკულავამ 50 კ.; ივანე კალანდარაძემ 50 კ.; სიმონ წერეთელმა 50 კ.; ილიკო ლეჟავამ 50 კ.; ნესტორ ბაქანიძემ 50 კ.; სამსონ ქინქლაძემ 30 კ.; ბელსკიმ 30 კ.; ერემი გორგილაძემ 25 კ.; გლახუნ ვასაძემ 25 კ.; დარისმან ჟღენტმა 20 კ.; ანტონ კალატოზოვმა 20 კ.; ივანე ჟღენტმა 15 კ.

სამკითხველთა გამგე მ. მეგრელიძე.

III.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალის“ შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნ იორდანე გიორგის ძე სიხარულიძეს, რომელმაც რწმუნებულ ჩემდამო დაბა ჩოხატაურის ღვთის მშობლის ეკლესიას შემოაწირა ოცი მანეთი და შემდეგშიაც აღვითქვა დახმარება. იმედია, ის, როგორც ქველმოქმედი, თავის დაპირებას განახორციელებს, და კვლავაც შემოაწირავს.

დაბა ჩოხატაურის ღვთის მშობლის ეკლესიის მღვდელი ნესტორ გ. შაქარიშვილი.

IV.

ქ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ამაშუკეთის საზოგადოების მწერალს ბ. კონსტანტინე ვეფხვაძეს, რომელმაც კეთილ ინება და ჩემდამო რწმუნებულ ამაშუკეთის სკოლის მოსწავლეებს უყიდა 5 მ. რვეულები და სხვა წერიმალის სასწავლო ნივთები, ღმერთმა ჰქნას სხვებსაც წაებაძოს ამ ყმაწვილი-კაცისათვის ამ გვარ კეთილ საქმეში. ამაშუკეთის სკოლის მასწავლებელი კონ. უგულავა.

V.

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემულ გაზ. „კვალის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ.ბ. კონსტანტინე კუხელაშვილს და იოსებ ლეჟავას, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოაწირეს საღვინოს სკოლას და ბიბლიოთეკას 54 ცალი წიგნაკი; პირველმა 6 ცალი, ხოლო მეორემ კი 48 ცალი. ამასთანავე გულითადის თხოვნით მივმართავთ პატივცემულ საზოგადოებას, რათა დახმარება აღმოუჩინონ ჩვენდამო რწმუნებულ სკოლას და ბიბლიოთეკას, რითაც და როგორც შეეძლებათ.

შემოწირულება მიიღება ამ ადრესით: Черезъ Хони въ Салхинское сельское управление, учителю Георгию Цивцивадзе.

გამგე სკოლისა და სამკითხველთა მღ. რ. გაგა.
მასწავლებელი გიორგი წივწივაძე

„კვალის“ ფოსტა

ბ. სენაკელ მეგრელს და ა. რ—ძეს: „ივერიის“ „გურულ-მეგრელზე“ ლაპარაკი არა ღირს და ამიტომ არც თქვენ წერილებს ვბეჭდავთ.

საუმაწვიალო ნახტებიანი ჟურნალი
„ქ ე ჯ ი ლ ი“
რედაქციაში იყიდება ძალიან დაკლებულ ფასათ
უგულა წლებისა (1890—1899 წ.წ.)

„კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:
თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)
ალბომი „ბუნება სურათებში“ ედ. 1 მ. 20 კ. (გასაგზ. 20 კ.)
ზატარა ლორდი 30 კ.
ჩვენი ძველი გმირები 30 კ.
თეთრი და ზანგი 15 კ.
სოლომონ მეფე 10 კ.
არი მოთხრობა კვ. ნინოშვილისა 10 კ.

შინაარსი: ჩინეთი. —სხვა-და-სხვა ამბები. —„კვალი“—ს კორესპონდენციები. —ქართული საეკლესიო გალობა ი. კარგარეთლისა. —წერილი ახალ-სენაკიდან ისიდორე შიოსძისა. —ჩინეთის ამბები. —მგოსანი, ლექსი ბ. ანოსპირელისა. —ჯავახეთი და ჯავახელი ი. გომართელისა. —წერილი საფრანგეთიდან (დასასრული) ლ. დ—სა. —სიმართლის ნამშობი ი. ისა. —საქველ-მოქმედო საქმე. —„კვალის“ ფოსტა. —და განცხადებები.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.